აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის საკონკურსო მოთხოვნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი ან რომელიმე პარტიის შემომწირველი, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადში მითითებული უნდა იყოს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის სახელი და გვარი, უმაღლესი განათლება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი. განაცხადს ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა ერთოდეს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი;

ვ) კანდიდატის ბიოგრაფია და CV;

ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

თ) არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების (თუ კანდიდატს აქვს ასეთი გამოცდილება) აღწერა;

ი) ხელწერილი, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი ადასტურებს მისი კანდიდატურის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას (დანართი №1);

კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატის წერილობითი თანხმობა (დანართი №2);

ლ) ცნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ მოთხოვნას (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა რომელიმე პარტიის შემომწირველი);

მ) ცნობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნასა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი) და მე-5 პუნქტის „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს;

ნ) ცნობა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან იმის შესახებ, რომ პირი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს;

ო) ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან იმის შესახებ, რომ პირი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;

პ) ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან იმის შესახებ, რომ პირი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;

ჟ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან იმის შესახებ, რომ პირი აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას.